

არქეოლოგია ♦ Archaeology ♦ Археология

თინა აბულაშვილი

ნიკო მარი

ედღვნება ნიკო მარის დაბადების 150 წლისთავს

150 წელი გავიდა ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე მარის დაბადებიდან. ნიკო მარი დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს (ახ. სტ. 1965 წლის 6 იანვარი) ქ. ქუთაისში. მისი ავტობიოგრაფია პირველად 1927 წელს ჟურნალ „ოგონიოკში“ (№27) გამოქვეყნდა, რომელსაც წამდღვარებული ჰქონდა ჟურნალის რედაქციის შენიშვნა „მსოფლიო მეცნიერი ქართული ქოხიდან“. ნიკო მარი თავის ავტობიოგრაფიაში, წერს „მე დავიბადე ქალაქ ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე ეგრეთ წოდებულ ფერმაში“. მამამისი იაკობ პატრიკის ძე მარი შოტლანდიელი იყო, კავკასიაში 1822 წელს ჩამოსულა და გურიის მთავართან გრიგოლ გურიელთან აგრონომად დაუწყია მუშაობა. პირველი ცდა საქართველოში ჩაის პლანტაციის გაშენებისა იაკობ მარს განუხორციელებია. დედა გურული ქალი ალათი მაღულარია იყო. ბავშვობა ნიკო მარმა ოზურგეთში და ქუთაისში გაატარა. 1874 წელს მან დაამთავრა ოზურგეთის სამკლასიანი სასწავლებელი და ქუთაისის გიმნაზიაში შევიდა. გიმნაზიაში ნიკო მარი ლათინური და ბერძნული ენების ბრწყინვალე მცოდნედ ითვლებოდა. თავისით ისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები, საერთოდ კი 50 ენაზე მეტს ფლობდა. მისი დიდი სურვილი იყო ორიგინალში წაეკითხა ჰომეროსი, ამიტომ გიმნაზიის მერვე კლასში თავისი ნებით ხელმეორედ დარჩა. ეს ფაქტი არანორმალურად მიიჩნეს გიმნაზიის ხელმძღვანელებმა და ნიკო მარი გიმნაზიიდან გარიცხეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ არანაირ ფსიქიურ აშლილობას ადგილი არ ჰქონდა უკან დააბრუნეს [Миханкова 1949: 16]. გიმნაზიაში სწავლისას ნიკო მარმა გამოსცა გაზეთი „ბედი“, სადაც თავის სტატიებს, ლექსებს და შენიშვნებს ბეჭდავდა. აქვე დაიწყო კავკასიის ტოპონიმის კვლევა.

1884 წელს ნიკო მარმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და ჩააბარა პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო ალ. ცაგარელი.

უნივერსიტეტის სწავლისას მარზე დიდი გავლენა იქონია არაბისტმა და ბიზანტიკოსმა რაიზენმა, რომლის როლი აღმოსავლეთმცოდნეობაში უდიდესი იყო. სტუდენტობის პერიოდში ნიკო მარი კავკასიურ ენების ლიტერატურას და ისტორიას სწავლობდა. ამ საკითხს ეძღვნება ამ პერიოდის მისი კვლევების უმეტესი ნაწილი [Миханкова 1949: 25]. ის ცდილობდა გამოეკვლია ქართული ენის ხასიათი, მისი კავშირები და ლექსიკონის შემადგენლობა. მან გამოთქვა მოსაზრება ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ. მისი შეხედულებები ქართული ენის ხასიათის შესახებ მიუღებელი იყო ალ. ცაგარელისათვის, რის გამოც მათ შორის ურთი-ერთობა საკმაოდ დაიძაბა [Миханкова 1949: 31]. მიუხედავად ამ დაპირისპირებისა ნიკო მარის სადიპლომო ნაშრომი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

1888 წელს ნიკო მარმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და აქვე დარჩა სამუშაოდ. ამავე წლის ზაფხულში მან კავკასიაში იმოგზაურა და შემოდგომაზე პეტერბურგში დაბრუნებულმა არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება კავკასიაში ჩატარებული სამუშაოებისა და დაკვირვებების შესახებ, რის შემდეგაც მას დაუმტკიცდა სამაგისტრო დისერტაციის თემა „Мудрости Балагара“ და მისი ურთიერთდამოკიდებულება მსგავს ძეგლებთან აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხების ლიტერატურაში. ამის შემდეგ დაძაბულობა ნიკო მარსა და ალ. ცაგარელს შორის უფრო გამძაფრდა. ალ. ცაგარელი ღიად დაუპირისპირდა მას და გაზეთ ივერიაში გამოაქვეყნა მისი საკვლევო თემა. ამ დაპირისპირების გამო ნიკო მარმა შეცვალა კვლევის მიმართულება და ძირითად სპეციალობად სომხური ფილოლოგია აირჩია, რის გამოც ის კიდევ ორი წელი დარჩა უნივერსიტეტში [Миханкова 1949: 37]. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ნიკო მარს სურდა აუცილებლად ქართულ ენაში დარჩენილიყო საპროფესოროდ მოსამზადებლად და არა სომხურში, მაგრამ ცაგარელმა არაფრით არ ქნა, პატკანოვმა კი აულო ალლო მარის უნარს დატოვა თავისთან“ [თაყაიშვილი 1968: 301]. 1891-1900 წლებში ნიკო მარი მუშაობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტად, შემდეგში კი პროფესორად. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის კურსსაც კითხულობდა. 1912 წლის 14 იანვრიდან ნიკო მარი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსტრა-ორდინარული აკადემიკოსია, ხოლო ამავე წლის 1 ივნისიდან აკადემიის ნამდვილი წევრი. 1917 წელს ნიკო მარის ხელმძღვანელობით დაარსდა მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემია, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი თავად

იყო გარდაცვალებამდე. 1921-1934 წლებში იგი ხელმძღვანელობდა მის მიერვე დააარსებულ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების (იაფეტურ) ინსტიტუტს, რომელსაც 1950 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტი ეწოდა. 1924-1929 წლებში ღირეკტორობდა ლენინგრადის (პეტერბურგის) საჯარო ბიბლიოთეკას. 1920-1929 წლებში ხელმძღვანელობდა აღმოსავლური ცოცხალი ენების ლენინგრადის ინსტიტუტს [მეგრელიძე 1965: 295]. 1930 წლიდან იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ნიკო მარის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი წლები უმთავრესად საქართველოს და სომხეთის მატერიალური კულტურის ძეგლების და წერილობითი წყაროების შესწავლასთან არის დაკავშირებული. მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი იყო „ბუნება და თვისება ქართული ენისა“, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. 1889-1891 წლებში დაიბეჭდა მისი ნაშრომები: როსტომიანი, სტატია ჩახრუხაძეზე, პეტრე იბერის ცხოვრება და სხვა. გამოსცა გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის შესახებ. ფილოლოგიურ მასალებთან ერთად დაიბეჭდა მისი დღიური „საქართველოს „სინაზე“ მოგზაურობის შესახებ. დღიურში მოცემული იყო ავტორის ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევა [Миханкова 1949: 100].

პირველი არქეოლოგიური გათხრები ნიკო მარმა 1893 წელს ჩაატარა მდ. დებედას ხეობაში, სადაც წინარექრისტიანული სამაროვანი გათხარა, ასევე სოფ. ვორნაკში, სადაც აღმოაჩინა ქვის ყუთები მდიდარი ინვენტარით [Миханкова 1949: 55-56]. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელსაც ჩემამდე ჩაეტარებინოს გათხრები საქართველოში იყო ისევე ნიკო მარი“ [თაყაიშვილი 1968: 373]. საუბარია სპეციალისტ გამთხრელ არქეოლოგზე. შემდეგ წლებში რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებით ნიკო მარმა სომხეთის ძველ დედაქალაქ ანისში აწარმოვა გათხრები. აქ მან 16 კამპანია ჩაატარა. არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ასევე გარნისში, დვინში, ვანის ტბის მიდამოებში, გაგიკში. გარნისში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოავლინა ანტიკური ხანის ძეგლები, იქვე აღმოაჩინა ე.წ. „ვეშაპები“, თევზის ანუ ვეშაპის სახის საკულტო მნიშვნელობის მონოლითები [მელიქსეთ-ბეგი 1940: 114-115]. ის წერდა: „თევზ-გველ-ვეშაპებში“ წარმოდგენილია ადგილობრივი ღმერთები, რომლებიც უფრო ადრეულია ვიდრე მანამდე ცნობილი ძველი სამარხები და წარმართული დამწერლობის ძეგლები [Март 1912: 77]. საქართველოში ანალოგიური „ვეშაპოიდ-მენჭირების“ აღმოჩენის შემდეგ ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ვეშაპები საქართველოშიც საკმაო რაოდენობით არის და „ვეშაპთა“ ეპოქის წარმართული კულტურული

ატმოსფეროთი გარემოცვას სვანეთში ვგრძნობდით [Mapp 1913: 6]. 1902 წელს ნიკო მარი ივ. ჯავახიშვილთან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე. ამ მოგზაურობის მიზანი იყო ძველ საქრისტიანო ცენტრებში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა [აბულაშვილი 2007: 253]. სინას მთაზე მათ ბევრ უცნობ ქართულ ხელნაწერს მიაკვლიეს, მათ შორის ნუსხურად დაწერილ ხელნაწერს „შრომა და მოღუანეობა ღირსად ცხოვრებისა არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა და მას თანა მრავალსა მამათა ნეტართა“. მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე 1903 წლის 23 თებერვალს ნიკო მარმა მოხსენება წაიკითხა არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე [მელიქსეთ-ბეგი 1940: 55]. ამ სამუშაოების შესახებ ექ. თაყაიშვილი წერდა: „ნიკო მარმა ნამდვილი აღწერილობა დაგვიტოვა ხანცთელის ცხოვრების გამოცემასთან დაკავშირებით და მაგის მეტი, რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისათვის, ისიც კმაროდა, რომ მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით“ [თაყაიშვილი 1968: 365]. ხელნაწერი საქართველოს ისტორიული მხარის ტაო-კლარჯეთის გაშუქების საშუალებას იძლეოდა, სწორედ ამიტომ 1904 წელს ნიკო მარი შავშეთსა და კლარჯეთში გაემგზავრა. მან ერთი თვის მანძილზე იმოგზაურა ამ ისტორიულად მდიდარ კუთხეში, მოიძია არქეოლოგიური მასალა, შემორჩენილი წარწერები, დაადგინა გეოგრაფიული პუნქტები, აღმოაჩინა ძველი გზები, ხიდეები. ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შემდეგ ნიკო მარი ლაზეთში გაემგზავრა, მისი მიზანი ჭანების (ლაზების) ვინაობის და ენის სტრუქტურის დადგენა იყო, ასევე სურდა დაესაბუთებინა ანტიკური ხანის მდ. ფაზისის იდენტურობა მდ. ჭოროხთან. ეს მხარე დიდ ინტერესს იწვევდა არქეოლოგიური თვალსაზრისით. დაათვალიერა სიმაგრე ჯიხა, მოიძია ქართული და ბიზანტიური მონეტები, ბრინჯაოს ცული, კერამიკული ნაწარმი [Mapp 1910: 604; იოსელიანი 1973: 90; ჯაფარიძე 1950: 74]. 1910 წლის 17 დეკემბერს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წინაშე მან გააკეთა მოხსენება ლაზეთში მოგზაურობის შესახებ. ნიკო მარს გურიის არქეოლოგიური ძეგლების შეწავლაც უცდია, მას რუსულიდან უთარგმნია XVII-XIX სს გურიის სამთავროს რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავდნენ ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, მაგრამ ეს სამუშაო რატომღაც მალევე მიუტოვებია [აბულაშვილი 2007: 255]. ნიკო მარმა გაშიფრა ი. ორბელის მიერ აღმოჩენილი ურარტუს მეფის სარდური II-ის (ძვ.წ. 760-730 წწ.) სოლისებური წარწერა, სადაც

ერთ-ერთ მუხლში მოხსენიებულია კულხას (კოლხას) ქვეყანა.

1916-1917 წლებში ნიკო მარის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მეცნიერი დ. ყიფშიძე იკვლევდა უფლისციხეს და ვარძიას. ამავე პერიოდში ნიკო მარს დაევალა სოფელ მურში მაქსიმე აღმსარებლის საფლავის გამორკვევა, ამ სამუშაოების წარმოება მან კავკასიის მუზეუმის უფროსს მრჩეველს ნ. ტიხონოვს, თავად მიქელაძეს და დ. ყიფშიძეს დაავალა. გათხრების მოკლე ანგარიში მან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე წაიკითხა [მუმლაძე 2004: 161, 163]. 1917 წელს ნიკო მარი სამცხეში გაემგზავრა და გამოიკვლია ზარზმა, საფარა, კუმუდო, თმოგვი [Орбели 1935: 54]. ნიკო მარი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა არქეოლოგიურ მონაპოვარს, მის სათანადო დაცვას. იძიებდა წყაროებს, ადგენდა იმ ადგილთა სიას, სადაც პირველ რიგში უნდა ჩატარებულყო გათხრები. მან სპეციალურად ამისათვის ფოტოგრაფია შეისწავლა. ნიკო მარი აუცილებლად მიიჩნევდა კავკასიის რეგიონში მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალის დასამუშავებლად სათანადო სამეცნიერო დაწესებულების შექმნას. 1905 წელს შეადგინა წესდება და პროექტი საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად [Mapp 1918: 49], თუმცა სამწუხაროდ ეს პროექტი არ განხორციელდა.

1917 წელს ნიკო მარმა დასვა საკითხი თბილისში კავკასიურ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. მან თვითონვე განსაზღვრა მისი სამუშაო გეგმა [Mapp 1917: 962]. ამის შესახებ ის ექვთიმე თაყაიშვილს წერდა „მე მინდა ინსტიტუტი დავაფუძვნებინო და იმედია ისე მხარს მომცემთ, რომ ყველასათვის სასარგებლო დარჩეს“ [მეტრეველი 1971 :387]. 1917 წლის 27 ივნისს თბილისში ოფიციალურად ამოქმედდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ინსტიტუტი, რომელმაც პირველი ლინგვისტიკური და არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ახალქალაქის და ახალციხის მაზრაში [Mapp 1917: 963, 993]. ინსტიტუტის დირექტორად ნიკო მარის წარდგინებით ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. ნიკო მარს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან. მათ პირად არქივში დაცულია 225 წერილი, რომელიც ამ ორი დიდი მეცნიერის ცხოვრებას და საზოგადო მოღვაწეობას ასახავს. წერილებში გადმოცემულია მათი გეგმები, სურვილები, მისწრაფებები, ზრუნვა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის.

ნიკო მარი ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. ფართო ერუდიცია და მრავალფეროვანი სამეცნიერო ინტერესები საფუძველი

გახდა ისეთი შრომების შექმნისა, რომლებმაც დიდი აღიარება და ინტერესი მოიპოვა არა მარტო ჩვენში არამედ საზღვარგარეთაც. მან კავკასია თავისი კვლევის უმთავრეს სფეროდ გაიხადა. „ვინც კი აკად. ნიკო მარის შრომების თუნდაც მარტო სიას გადასინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღეძრას“ წერდა ივ. ჯავახიშვილი [ჯორბენაძე 1984: 365]. 1928 წელს მეცნიერული შრომებისათვის ნიკო მარს მიენიჭა პრემია, ხოლო 1933 წელს მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ორდენით და მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება [მეგრელიძე 1965: 291]. ამოუწურავია ნიკო მარის მეცნიერული მემკვიდრეობა, ის იყო ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, კავკასიოლოგი და ორიენტალისტი. მან შექმნა ეტაპი მეცნიერებაში და ბიძგი მისცა მის განვითარებას. ნიკო მარი რედაქტორობდა სამეცნიერო სერიებს არქეოლოგიაში: ანისის სიძველეები, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის უწყებანი, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიულეტენი. მისი მოწაფეები იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, ი. ორბელი, ი. ყიფშიძე, ნ. ადონცი და სხვები.

ნიკო მარის შრომები, გამოკვლევები, წერილები, შენიშვნები თუ რეცენზიები დღესაც აქტუალურია. ის მუშაობდა პეტერბურგში, სტრასბურგში, ვატიკანში, რომში, პარიზში და ბევრ სხვა ქალაქში. იგი წერდა „ჩემი შრომები შექმნილია არა მხოლოდ კაბინეტში, არამედ მუზეუმებში, გზაში – მთასა და ბარში და ყველგან, სადაც კი მიწევდა ყოფნა“. მიუხედავად მრავალი კრიტიკის თუ ქება დიდების მისი მეცნიერული მემკვიდრეობა დღესაც ღრმა მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს.

ნიკო მარს სამი შვილი ჰყავდა – ვაჟები ვალოდია და იური, ქალიშვილი ნინო. მისი მეუღლე იყო ალექსანდრა-ანა ჟუკოვსკაია, რომელიც ყველა ექსპედიციაში თუ მოგზაურობაში მისი მეგზური იყო. ნიკო მარი 1934 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში.

## ლიტერატურა

- აბულაშვილი თ., 2007, ნიკო მარი და კავკასიის არქეოლოგია, საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები, გვ. 250-263, თბ.
- თაყაიშვილი ე., 1968, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ.
- იოსელიანი ა., 1973, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ.
- მეგრელიძე ი., 1965, ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაცნე №6, გვ. 291-306
- მელიქსეთ-ბეგი ლ., 1940, ნ. მარი და მატერიალური კულტურის ისტორია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 16, გვ. 41-129
- მეტრეველი ე., 1971, ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერიდან, მრავალთავი I, გვ. 380-392 თბ.
- მუმლაძე მ., 2004, ლეჩხუმის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან, ძიებანი №13-14, გვ. 160-164
- ჯაფარიძე ო., 1950, კოლხური ცული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XVI-B, გვ. 60-110
- ჯორბენაძე ს., 1984, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა თბ.
- Миханкова В., 1949, Николай Яковлевич Марр, П-М.
- Марр Н., 1913, Из поездок в Сванетию, Христианский Восток, т. II, с. 4-10
- Марр Н., 1912, Кавказ и памятники духовной культуры, Известия АН, С-Пб, с. 60-90
- Марр Н., 1917, О Кавказском историко-археологическом институте, П, С-Пб.
- Марр Н., 1918, О Кавказском университете в Тифлисе, Изв. АН, П, с. 30-50
- Марр Н., 1910, Поездки в Турецкий Лазистан, Изв. Имп. АН, серия VI, С-Пб, с. 107-632
- Орбели И., 1935, Н.Я. Марр как археолог, Проблемы истории докапиталистических обществ, т. 3-4, с. 50-61



აკად. ნიკო მარი ანისის გათხრებზე